

ორმაგი დიაგნოზის მართვის გაუმჯობესება ფსიქიკური
ჯანმრთელობისა და წამალდამოკიდებულების სერვისებში
საქართველოში

მაგისტრანტი: მარიამ გიორგაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ჯანდაცვის პოლიტიკისა და
მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად.*

სამაგისტრო პროგრამა

ხელმძღვანელი: ირმა კირთაძე, ასოცირებული პროფესორი.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

თბილისი, 2025.

განაცხადი:

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ გიორგაძე, 2025.

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი ეხება ორმაგი დიაგნოზის — ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნივთიერებათა მოხმარების აშლილობის თანაარსებობის — ორმაგი დიაგნოზის მართვის გაუმჯობესების საკითხს საქართველოში. საკვლევი თემა განხილულია თანამედროვე საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის პოლიტიკის კონტექსტში, არსებული სერვისების ფრაგმენტაციის, პროფესიული რესურსების დეფიციტისა და მკურნალობის შეწყვეტის მაღალი მაჩვენებლების ფონზე.

ნაშრომის მიზანია, შეაფასოს ორმაგი დიაგნოზის მქონე პირების მართვის არსებული პრაქტიკა, გამოავლინოს სისტემური ბარიერები და შესთავაზოს რეკომენდაციები ინტეგრირებული ზრუნვის მოდელის დანერგვისთვის.

კვლევის ფარგლებში გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი მეთოდოლოგია. მონაცემები შეგროვდა სტანდარტიზებული კითხვარის მეშვეობით, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ფსიქიკური ჯანმრთელობისა და დამოკიდებულების სერვისებში დასაქმებულმა 85-მა პროფესიონალმა. შერჩევა განხორციელდა მიზანმიმართული მეთოდით. მონაცემთა ანალიზი განხორციელდა აღწერითი სტატისტიკის გამოყენებით და ეფუძნებოდა სოციო- ეკოლოგიური მოდელის მრავალდონიან ჩარჩოს.

შესწავლილი მონაცემების ანალიზის შედეგად გამოვლინდა ძირითადი ბარიერები, როგორიცაა კლინიკური გაიდლაინებისა და პროტოკოლების არარსებობა, სერვისებს შორის კოორდინაციის დაბალი დონე, ინფრასტრუქტურული დეფიციტი და პროფესიული გადამზადების სისტემური ხარვეზები, პროფესიული განათლების გაძლიერება, სამართლებრივი ასპექტების გადახედვა და ინტეგრირებული სერვისების განვითარება, გაუმჯობესება.

შედეგების ინტერპრეტაციამ აჩვენა, რომ ორმაგი დიაგნოზის მართვის გაუმჯობესება მოითხოვს კოორდინირებულ სისტემურ ცვლილებებს, მათ შორის სამართლებრივ და პოლიტიკურ დონეზე. აუცილებელია მულტიდისციპლინური თანამშრომლობის გაძლიერება, ადამიანური რესურსების განვითარების მხარდაჭერა და პრაქტიკაზე დაფუძნებული გადამზადების მექანიზმების დანერგვა. ნაშრომის მიგნებები იძლევა მტკიცებულებაზე დაფუძნებულ რეკომენდაციებს, რომლებიც ხელს შეუწყობს პაციენტზე ორიენტირებული ინტეგრირებული ზრუნვის მოდელის განვითარებას საქართველოში.

საკვანძო სიტყვები: ორმაგი დიაგნოზი, ინტეგრირებული სერვისები, წამალდამოკიდებულება, სისტემური ბარიერები.

Abstract

This master's thesis explores the improvement of dual diagnosis management—defined as the co-occurrence of mental health disorders and substance use disorders—in the context of Georgia. The research is situated within the broader framework of contemporary public health and health policy, addressing the challenges of service fragmentation, shortage of professional resources, and high treatment discontinuation rates.

The study aims to assess current practices in the management of individuals with dual diagnoses, identify systemic barriers, and propose recommendations for implementing an integrated care model. A quantitative research methodology was employed. Data were collected through a standardized questionnaire administered to 85 professionals working in mental health and addiction services, selected through purposive sampling. Data analysis was conducted using descriptive statistics, guided by the multi-level framework of the social ecological model. The analysis identified key barriers including the absence of clinical guidelines and treatment protocols, low levels of inter-service coordination, infrastructural deficiencies, and systemic gaps in professional training. These findings highlight the need to strengthen professional education, revise legal frameworks, and develop integrated and improved services. The interpretation of results suggests that enhancing dual diagnosis management in Georgia requires coordinated systemic reforms at legal and policy levels. Strengthening multidisciplinary collaboration, supporting human resource development, and establishing practice-based training mechanisms are essential. The study offers evidence-based recommendations to support the development of a patient-centered, integrated care model in Georgia.

Keywords: dual diagnosis, integrated services, substance use disorder, systemic barriers.